

სარგბიელი



საორტული გაზეთი შაბათი 5 აპრილი 2008 №076 (3300)

ფასი 50 თეთრი

ქართული 53:34 უცხოელი სამი მიზეზი, რატომ სჯობს აქაური იქაურს კონტრარგუმენტი: გვითხარით, ვინ...

სარგბელის გამოკითხვის
მიზეზ-უღებობრივი ანალიზი



დინამოს თავიდან შეუინებია
ხალხი და ადგილი: ლოკომოტივი
ივსება, მარამ ისევ იქ დგას

თქვენი ინტერვიუ


ლეონ
ყენიასთან

«შალკა» გელზენკირხენი, გერმანია

**რას ვერ გაამხელს
ყენია შალკეში**



ლეონ ცეტიმევილი საქართველოს
ჩემპიონატს 9-წლიანი პაუზის
შემდეგ დაუბრუნდა



გიორგი თეთრაძე

საბჭოთა დრო

საბჭოთა დრო

საბჭოთა დრო

ქართული 53:34 უსსოელი

ქართული
საქართველო

„სარბიელი“ გუშინდელ ანონსში იუწყებოდა, კითხვა, ვინ გახდება საქართველოს ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი, მეცამეტედ დაისვაო. ნინა თორმეტ შემთხვევაში პასუხები ასეთი იყო: ანატოლი ნორაკიძე, ალექსანდრე ჩივაძე, დავით ყიფიანი, ვლადიმერ გუცავეი, იოჰან ბოსკამპი, ალექსანდრე ჩივაძე, დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი, ივო შუშაკი, მერაბ ჟორდანიანი, ალენ ჟირესი, გაიოზ დარსაძე, კლაუს ტოპმიოლერი. დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის გარიჟრაჟზე კითხვა: ქართველი თუ უცხოელი, საერთოდ არ დამდგარა. ეს კითხვა მოგვიანებით გაჩნდა. ამ დროისთვის საქართველოს ნაკრებს უკვე ოთხი უცხოელი ედგა სათავეში — ჰოლანდიელი ბოსკამპი მალევე გაუშვეს, ხორვატი შუშაკი, ნინასწარვე ვიცოდით, მალევე რომ წავიდოდა, ფრანგ ალენ ჟირესს ფეხბურთის ფედერაციის ახალმა უფროსობამ ცუდი თვალთ შეხედა, გერმანელი კლაუს ტოპმიოლერი კი... თუმცა ტოპმიოლერის ამბავი იმდენად ახალია, შეხსენება უხერხულია. კითხვა კი კვლავ დაისვა: ქართველი თუ უცხოელი? კი, უფრო საინტერესო კონკრეტული გვარების ჩამოთვლაა, მაგრამ როგორც ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ გვითხრა, სიაში 20-25 მწვრთნელია. სია რომ შეთხელდება, ანალიზი მიზანშეწონილი მერე იქნება. ჯერჯერობით კი ეს ვიკითხოთ: ქართველი თუ უცხოელი?

სადგური უნდა იყოს საქართველოს ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი?

ქართველი: 212 ხმა (53,0%)	სულეერთია: 40 ხმა (10,0%)
უცხოელი: 138 ხმა (34,5%)	თავი შეიკავა: 10 ხმა (2,5%)

სულ გამოიხიბოთ 400 რესპონდენტი



შესაბამისად, ეს ფაქტორი, დარბი ქვეყნის მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანია. ბოლო ორი წლის განმავლობაში ქართველ გულშემატკივრებს ისიც ესმოდათ და ხედავდნენ, რომ კლაუს ტოპმიოლერი საქართველოში ძალიან ცოტა დროს ატარებს, არც სამსახურში არ დადის და ეროვნულ ჩემპიონატსაც არ სწავლობს. გულშემატკივარი კი ხვდება, რომ ქართველ მწვრთნელს საქართველოში ყოფნის და ეროვნულ ჩემპიონატზე დასწრების პრობლემა არ ექნება. ორი კი არა, რატომ ოცი წელი არ არის, რაც გულშემატკივრის ესმის, რომ ქართველებს განსაკუთრებული მენტალიტეტი გვაქვს და რომ უცხოელებს ქართულ სულს ჩაწვდომა უჭირთ და უცხოელ მწვრთნელთა და ქართველ ფეხბურთელთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი უთანხმოება სწორედ ამ მენტალურ განსხვავებაშია. ამ შემთხვევაშიც გულშემატკივარი ფიქრობს, რომ ქართველ მწვრთნელსა და ქართველ ფეხბურთელებს შორის განსხვავებული მენტალიტეტი ყრუ კედლად კერაფროთ აღიმართება. ჩვენი აზრით, სწორედ ეს საძი ფაქტორია, რამაც გამოკითხულთა 53 პროცენტში უცხოელი მწვრთნელის იდეის უარყოფა გამოიწვია. ვიმეორებთ: იდეის და არა კონკრეტული სახელის. რატომ ვფიქრობთ ასე? წარმოვიდგინოთ, რომ რესპონდენტებისთვის დასმული კითხვა ასეთი ყოფილიყო: „უხე მაურინიუ თუ ...? ან მარჩელო ლიპი თუ ...? ან ფაბიო კაპელო თუ ...?“. სამწერტილის ნაცვლად შეგვიძლია, ნებისმიერი ქართველი მწვრთნელის გვარი ჩავწეროთ. და როგორ ფიქრობთ, რა შედეგს მივიღებდით? გვგონია, რომ მაურინიუც, ლიპიც და კაპელოც ხმების უმრავლესობას მიიღებდნენ, რადგან გულშემატკივრებს კონკრეტული კანდიდატურების შედარების საშუალება მიეცემოდათ. ამიტომაც ვამბობთ, რომ გულშემატკივრებს უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ ზოგადად უცხოელის მიმართ, მაგრამ რომელიმე სახელიანი მწვრთნელის კანდიდატურას თუ დაასახელებს ფეხბურთის ფედერაცია, განწყობა შეიცვლება.

საუბრითა

ყოველმა მეათე გამოკითხულმა გვითხრა, რომ სულერთია, ვინ იქნება ნაკრების ახალი მწვრთნელი. სულერთია — ორ რამეს შეიძლება ნიშნავდეს: მთავარია, კვალიფიციური მწვრთნელი იყოს, ან ვინც გინდა იყოს, არაფერი შეიცვლება.

ბოლოთქა

ისევე გავიმეორებთ, რომ სავალდებულო არ არის, ამ გამოკითხვის შედეგები ფედერაციამ გაითვალისწინოს. მაგრამ ყოველთვის საინტერესოა, რას ფიქრობს ხალხი. ამ გამოკითხვის შედეგებს და მის ანალიზს „სარბიელი“ ამ დღეებში კიდევ მიუბრუნდება. გამოკითხვებს კი სხვა საინტერესო და საკამალო საკითხებზეც ჩავატარებთ.

გიორგი ღარჯანიანი

აუცილებელი განმარტება

სოციოლოგიური კვლევა სერიოზული სამეცნიერო დისციპლინაა და თავისი რთული მეთოდოლოგია აქვს. ჩვენს მიერ ჩატარებულ გამოკვლევას ამის პრეტენზია არ აქვს. არც იმას მოვითხოვთ, რომ გამოკითხვის შედეგები ფეხბურთის ფედერაციამ მწვრთნელის შერჩევისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს. მაგრამ, ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ ამგვარი გამოკითხვა ყოველთვის საინტერესოა. სარბიელელებმა, კახა შალამბერიძემ და თამარ ქინქლაძემ 400 ადამიანი გამოკითხეს. ამთვან 60 გამოკითხული ჩვენივე ნაცნობია, ხოლო სატელეფონო წიგნიდან ალალ-

ბედზე ამოკრეფილ ნომრებზე დანარჩენ 340 ადამიანს დაგურეკეთ. გამოკითხვამ სამ დღეს გასტანა. „გამარჯობა, „სარბიელიდან“ გირეკავთ, გამოკითხვას ვატარებთ...“ — ამ ფრაზის მოსმენის მერე, ჩვენდა სასიხარულოდ, თითქმის ჩამოსათვლელნი იყვნენ ისინი, წარმოდგენა რომ არ ჰქონდათ, რა ნაკრებზე და რა მწვრთნელზე ვეკითხებოდით. გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ კი ჩვენს კითხვას ხალისით უპასუხა და, ეგ კი არა, ბევრმა ვრცელი ახსნა-განმარტებაც მოაყოლა, თუ რატომ თვლიდა სწორად თავის პასუხს.

შედეგები

სანამ ამ წერილის კითხვას და-

იწყებდით, უეჭველად გამოკითხვის საბოლოო შედეგებს გადახედავდით. როგორც ხედავთ, ნაკრებში ქართველი მწვრთნელის დანიშვნის იდეამ გაიმარჯვა, თუმცა შთამბეჭდავი უპირატესობა არ მოუპოვებია. თუმცა 53 პროცენტზე გამარჯვება და ქვემოთ ასეთიანი შედეგის გაანალიზებას შევეცადით.

306, რას და რატომ

ბოლო ორი წლის მანძილზე ქართველ გულშემატკივარს სხვადასხვა წყაროებიდან გამუდმებით ესმოდა, რომ კლაუს ტოპმიოლერი ზღვარედასულად დიდ ჯამაგირს იღებდა და რომ ნებისმიერი ქართველი მწვრთნელი ათჯერ და ასჯერ ნაკლებ ხელფასად იმუშავებდა.



Table with columns: Time, Frequency, Program Name, and four numerical columns (1, X, 1-X, 1-2, X-2). Includes programs like 'სერვილი-მისი', 'სერვილი-მისი 0:1', 'სერვილი-მისი 0:1', 'სერვილი-მისი 0:1', etc.

Table with columns: Time, Frequency, Program Name, and four numerical columns. Includes programs like '7 აპრილი', 'სელიკური', '5 აპრილი', 'ბობილი', '6 აპრილი', etc.

Table with columns: Time, Frequency, Program Name, and four numerical columns. Includes programs like '6 აპრილი', '8 აპრილი', '9 აპრილი', '10 აპრილი', etc.



